



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 92

2016 წლის 5 სექტემბერი

ხაშური

ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით (დროებითი განთავსებისათვის) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის „2016 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ №1440 განკარგულების და 2016 წლის 22 აგვისტოს ღვინის ეროვნული სააგენტოდან შემოსული N03/556 წერილის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტი თვითმმართველის ქალაქების მსგავსად განსაზღვრავს ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ადგილებს, საიდანაც განხორციელდება ვაჭრობა, რათა დაცული იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, მოძრაობის უსაფრთხოება და ხაშურის იერსახე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის „2016 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ №1440 განკარგულების შესაბამისად:

1. 2016 წლის 10 სექტემბრიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე ყურძნის რეალიზაციის მიზნით (დროებითი განთავსებისათვის) განისაზღვროს შემდეგი ადგილები:
 - ა) რკინიგზის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;
 - ბ) რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია;
 - გ) ხაშურის „ივერია“-ს სტადიონის მიმდებარე ტერიტორია;
 - დ) იმერეთის ქუჩა (ბაზრის მიმდებარე ტერიტორია);
 - ე) ბორჯომის ქუჩა (ხაშური-ვალე- ახალციხის საავტომობილო გზის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს 1 კმ-ზე.)
 - ვ) ბორჯომის ქუჩა (გალანტერიის ბინების მიმდებარე ტერიტორია);
 - ზ) ყოფილი აგურის ქარხნის დასახლების მიმდებარე ტერიტორია;
 - თ) შუმის ქარხნის დასახლების მიმდებარე ტერიტორია;
 - ი) იური გაგარინის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური მერაბ კოსტავას ქ. № 15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე